№ 2 4 იანვარი, ხუთშაბათი 1866—1879 4 იანვარი, ხუთშაბათი № 2

დროება

უოველ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ...ებით ასოზე—1 კაპ., ...სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — —	8 მან.
ექვსის თვისა — — —	5 მან.
სამის თვისა — — —	3 „
ერთის თვისა — — —	1 „

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ადრიანოპოლი, 30 დეკემბერს. დღეს მდინარეები მარიცა და ტუნჯა-არდა საშინლად ადიდდნენ და ბევრი უბედურება მოახდინა; სხვათა შორის მდ. არდამ გაამტვრია რკინის გზის ხიდი იმ დროს, როდესაც ამ ხიდზე რკინის გზის მატარებელი მიდიოდა; ყველა ვაგონები წყალში ჩაცვივდნენ; 19 ვაგონი თავის ლოკომოტივით დაიღუპა. სულ 17 ვაგონი საქონლით იყო სავსე და 3 ხალხით. ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი—თუ რამდენი ხალხი დაიღუპა.

პეტერბურღი, 1 იანვარს. „გოლოსს“ მოუვიდა დეპეშა, რომ კრეისერი „ევროპა“ კაპენლაღენში მივიდა.

ლუქსამბური, 1 იანვარს. დღეს გარდაიცვალა პრ. ჰენრიხი ნიდერლანდისა.

საქართველო

ერთიც „ახალი ხიდი“

ძნელია, როდესაც დაღმართისაკენ დაიწევს კაცი; იმის შეჩერება ადვილად აღარ შეიძლება; მიდის და მიდის, სანამ უფსკრულში არ ჩავარდება.

დიდი ხანია შევნიშნეთ ჩვენ, რომ უფ. ნიკოლაძე თავის „ობზორით“ სწორეთ იმ უფსკრულისაკენ მიიმართება; მაგრამ თუ ასე გაიქცეოდა, თუ ასე მალე დაადგებოდა იმ უფსკრულის ნაპირს, არ გვეგონა...

საქმე აი რაში მდგომარეობს:

ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ ნეტარხსენებულმა თ. გ. მუხრანსკიმ გამოსცა ერთი პატარა ბროშურა, რომელშიაც თავისებურის საბუთებით ამტკიცებდა, რომ ხალხთა ცხოვრება ისე მიმდინარეობსო და ეს ბუნებითი კანონიც არისო, რომ ყველა პატარა სახელმწიფოები, პატარა და სუსტი ხალხები, უეჭველია, დიდმა სახელმწიფოებმა, დიდმა ხალხებმა უნდა შთანთქან, უნდა გადაყლაპონო.

ფელეტონი

ელეგია

ბუნდ-გუნდ ვარსკვლავნი,
ანგელოზთ თვალნი,
ეშხით დამზერენ ტურფა გარემოს.

—

მთები მაღალნი,
უზარ-მაზარნი,
ადიან ზეცას, ისვრიან ჩეროს.

—

წყარო მჩქეფარე,
ვითა მწყრომარე,
ჩამორბის კლდიდამ ვარსკვლავთ მჩინარი.

—

ძირსა ველს გაშლილს,
ვარდნარით ფენილს
ბულბული კვნესის ნაზი, ნარნარი.

—

კოშკნი ნგრეულნი,
მოხუცებულნი,
თეთრი თმის გაშლით ჩაფიქრებულან,

—

წარსულის, ძველის,
ბულის შომწველის
ვერ მპოვნი მწარეთ ჩალონებულან.

—

ქცევა კაცური,
ზნე მამაცური
მათ გარს ეხვევათ, ვით რომ სიზმარი...

—

მათ არ ამხნევებს,
მათ არ აღელვებს
ცეცხლის მომდები იმედი მტკბარი...

—

ვჭვრეტ ჯერ მეც წყვდიადს,
მაგრამ განთიადს
მაინც კი ველი, ვიყო გინდ მკვდარი...

ოდესსა, 1878. გრ. უმწიფარიძე

ახალი ქვეყნის ამბავი

(სიზმარში და ცხადში ნანახი)

კარგა ხანია თქვენეურობა ჩვენეურობასთან საიქიო გახდა. ეს იმ დღიდგან, რა დღესაც აქაურ სამმართველო-საბჭო და საავათმყოფო გააუქმეს. და ჩვენთვის საიქაო ამბავი ძალიან გაძვირდა და რამდონიც დრო შიდის, იმდონი ძვირდება ფოშტის უქონელობის გამო.

წარლვნის აქედ არდანუჯ-ჩაისა და ჭოროხის ხევებში გორგორიან ურებს არ გაუვლია; ვერც ახლა შეიძლებს სიარულს. მტრედის ფოშტაც ჩვენში არ არის, და რომ იყოს, კიდევაც არ გვარგებს, რადგან საიქიოდ წასული მტრედი აღარ დაბრუნდება: მოეწონება იქაურობა და ცოდვილ არდანუჯს როდიღა გადმოჰხედავს.

ვზივართ გარდახვეწილნი უნუგეშოთ!

ხანდისხან სურთსარქისისავით გამოჰქროლებს ოსი საიქიო ამბებით და დაგვიანებული ქალალდებით; მაგრამ რა გამოვიდა, ესეც თვეში ერთხელ, ახალ გამომცხვარ და ძველ გამომცხვარს პურს ერთი გემოვნება ექმნება?

იყო დრო, როცა არდანუჯში ცხოვრება დუღდა, დიდრონი ადამიანები ცხოვრებდნენ; მაშინ ყველანი არდანუჯს პატივს აძლევდნენ და ეშინოდათ იმისი. დავარდა საწყლის მაზანდა და პატივი! ისე შეიძულეს ისა, რომ კვირაში ერთხელ ოსების შეწუხებასაც ჰზოგამენ—არ გზავნიან ფოშტასა...

პაეშნით სავსე გულით ვიღებ კალამს და მინდა ერთი-ორი საქაოს ამბები მოგწეროთ? მაგრამ არ ვიცი, ეს ჩემი წერილი მოახწევს თქვენ ბედნიერ ქვეყნამდე, თუ არა; თუ ამასაც ნიავი წაიღებს და შეაგდებს სადმე ოსების ქოხის კუთხეში...

არ მახსოვს—რომელი მწერალი ამბობს, რომ ომიანობას გამოჩნდება: ვინ გონიერია, ვინ მარდი, მამაციო; ვინ შორ-მხედველი და განკარგულების ნი-

ᲐᲛ უმსგავსო თეორიისათვის ბევრი მკვახე სიტყვები, ბევრი სასტიკი დაცინვა ერგო მაშინ ბრიუშერის ავტორს. ᲔᲠᲗᲘ მკვახე სტატია იმ დროს სხვათა შორის „ᲥᲠᲔᲑᲣᲚᲨᲘᲐᲪ“ იყო, რომლის ნამდვილ რედაქტორად მაშინ, თუ არ ვსცდებით, ითვლებოდა ახლანდელი „ᲝᲑᲖᲝᲠᲘᲡ“ რედაქტორი უფ. Ნ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ.

ᲒᲐᲘᲓᲐ ᲓᲠᲝ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲒᲐᲜ ᲖᲘᲖᲚᲘᲗ განდევნილი და უარ-ᲰᲧᲝᲤᲘᲚᲘ იყო ის თეორია. ᲐᲜ ვინ დაეთანხმებოდა მართლა ისეთს თეორიას, რომელიც გეუბნება:

„ᲨᲔᲜ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲮᲐᲠ, ᲛᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ; ᲛᲐᲨ ᲛᲔ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲒᲣᲚᲐᲞᲝ, ᲛᲝᲒᲘᲜᲔᲚᲝ!

„ᲨᲔᲜ ᲣᲚᲝᲜᲝ ᲮᲐᲠ, ᲛᲔ ᲚᲝᲜᲘᲔᲠᲘ; ᲛᲐᲨ ᲛᲔ ᲣᲤᲚᲘᲑᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲒᲘᲛᲝᲜᲝ, ᲒᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝ, ᲨᲔᲒᲔᲭᲐᲛᲝ!“

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ, ᲡᲣᲡᲢᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲓᲔᲡ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲐᲠ-ᲙᲐᲪᲣᲠᲘ, ᲛᲮᲔᲪᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ...

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲤ. Ნ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ ᲙᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲘ ᲰᲐᲖᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲗᲗᲥᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗ.

„ᲗᲣ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲛᲘᲮᲕᲔᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲪᲣᲓᲘᲐ ᲡᲮᲕᲘᲡ, ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲚᲣᲙᲛᲐᲓ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲐ (ᲔᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲪ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲐᲛᲐ), ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲥᲕᲘᲗᲥᲕᲘᲗᲔᲑᲓᲔᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲪᲐᲓᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲐᲡ ᲡᲬᲐᲛᲡ...

„ ... ᲘᲛ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲘᲡᲐ: 1) ᲰᲐᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, 2) ᲫᲚᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ 3) ᲨᲔᲜ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲮᲐᲠ.

„ ... ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ, ᲑᲐᲕᲨᲣᲠ ᲢᲘᲠᲘᲚᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕ...

„ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ!..“

ᲐᲛᲐᲡ ᲒᲕᲘᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲡ, ᲐᲛᲐᲡ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲣᲤ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲣᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲤᲛᲘᲡᲐ! ᲨᲔᲜ, ᲡᲣᲡᲢᲝ, ᲔᲪᲐᲓᲔ ᲨᲔᲘᲔᲫᲘᲜᲝ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲫᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲛᲐ ᲨᲔᲒᲔᲫᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲓᲔ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲚᲣᲙᲛᲐᲓ!

ᲐᲘ ᲐᲮᲐᲚ-ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲝᲑᲖᲝᲠᲘᲡᲐ“! ᲡᲐᲫᲐᲒᲔᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲡᲣᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲐ, ᲣᲫᲚᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲤᲛᲐ ᲰᲡᲣᲠᲡᲗ!

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲐᲠᲘᲡᲝ! ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲐ? ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲛᲐ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲘᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲔᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ?

ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ:

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲜᲢᲗᲐᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ, ᲚᲐᲠᲘᲑᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲓᲐ ᲔᲮᲕᲔᲬᲔᲑᲐ: ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲛᲘᲩᲘᲜᲔ ᲓᲐ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘ ᲛᲝᲛᲛᲔᲪᲝᲗ. ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲜᲢᲘ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ: ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲪᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲝᲠ ᲨᲐᲣᲠᲡ. ᲛᲣᲨᲐ ᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲣᲐᲛᲘᲡᲝᲗ ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲗ ᲛᲝᲣᲪᲕᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲜᲢᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ; ᲡᲣᲡᲢᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲘᲧᲚᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘᲡᲐ�გᲐᲜ.

ᲓᲐ ᲗᲥᲕᲕᲔᲜ, „ᲝᲑᲖᲝᲠᲘᲡ“ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲠᲝ, ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘᲗ, ᲒᲕᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲐᲝ! ᲫᲚᲘᲔᲠᲛᲐ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲧᲚᲐᲠᲔᲑᲡᲝ!

ᲛᲣᲨᲐ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲜᲢᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲥᲪᲔᲕᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲛᲐᲜ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ ᲡᲬᲐᲛᲡᲝᲡ!

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲓᲠᲝᲨᲘ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲔᲡ ᲐᲡᲔᲐ; ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲚᲐᲠᲘᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲡᲢᲡ ᲰᲧᲚᲐᲕᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐᲐ, ᲣᲦᲛᲔᲠᲗᲝᲑᲐᲐ, ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲑᲐᲐ, ᲐᲛ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲠᲝᲑᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲜᲘᲓᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲛᲔᲢᲜᲐᲕᲐᲓ ᲭᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲔᲡ, ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡᲝ!

„ᲝᲑᲖᲝᲠᲘ“ ᲙᲘ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲕᲐᲚᲡ, ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲐ. ᲕᲗᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲗ: ᲔᲡ ᲒᲖᲐ ᲓᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲐ, ᲣᲑᲡᲙᲠᲣᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲧᲕᲐᲜᲘ...

Ს. Მ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲐᲮᲐᲚᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲖᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲢᲐᲜᲙᲔᲕᲘᲩᲛᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘᲗ ᲛᲝᲙᲚᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲡᲐᲤᲗᲔᲥᲔᲚᲨᲘ ᲛᲘᲣᲠᲗᲧᲐᲛᲡ ᲢᲧᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲡᲣᲚᲐ ᲢᲘᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲤᲗᲔᲥᲔᲚᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲠᲐᲠᲓᲜᲔᲚᲘᲡᲐ. ᲐᲕᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠ ᲗᲐᲒᲕᲘᲡ-ᲨᲐᲥᲐᲠᲘᲗ ᲛᲝᲙᲘᲬᲐᲕᲚᲐ ᲐᲛ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲪᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘᲗ ᲘᲠᲗᲧᲝᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲘᲒᲝᲜᲔᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲣᲗᲝᲕᲔᲑᲘᲐ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲡ ᲰᲙᲣᲗᲡ ᲐᲠ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ..

*** ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲘᲜ ᲑᲝᲠᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲥᲐᲣᲠᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲤᲣᲚᲡ ᲐᲒᲠᲝᲔᲑᲔᲜᲝ ᲘᲛ ᲡᲐᲥᲐᲚᲔᲑᲝ ᲒᲘᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡᲐᲪ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲣᲠᲗᲧᲐᲛᲡ ᲢᲧᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲡᲣᲚᲐ ᲢᲘᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲤᲗᲔᲥᲔᲚᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲠᲐᲠᲓᲜᲔᲚᲘᲡᲐ. ᲐᲕᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠ ᲗᲐᲒᲕᲘᲡ-ᲨᲐᲥᲐᲠᲘᲗ ᲛᲝᲙᲘᲬᲐᲕᲚᲐ ᲐᲛ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲪᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘᲗ ᲘᲠᲗᲧᲝᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲘᲒᲝᲜᲔᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲣᲗᲝᲕᲔᲑᲘᲐ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲡ ᲰᲙᲣᲗᲡ ᲐᲠ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ..

*** ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲘᲜ ᲑᲝᲠᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲥᲐᲣᲠᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲤᲣᲚᲡ ᲐᲒᲠᲝᲔᲑᲔᲜᲝ ᲘᲛ ᲡᲐᲥᲐᲚᲔᲑᲝ ᲒᲘᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡᲐᲪ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲣᲠᲗᲧᲐᲛᲡ ᲢᲧᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲡᲣᲚᲐ ᲢᲘᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲤᲗᲔᲥᲔᲚᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲠᲐᲠᲓᲜᲔᲚᲘᲡᲐ. ᲐᲕᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠ ᲗᲐᲒᲕᲘᲡ-ᲨᲐᲥᲐᲠᲘᲗ ᲛᲝᲙᲘᲬᲐᲕᲚᲐ ᲐᲛ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲪᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘᲗ ᲘᲠᲗᲧᲝᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲘᲒᲝᲜᲔᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲣᲗᲝᲕᲔᲑᲘᲐ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲡ ᲰᲙᲣᲗᲡ ᲐᲠ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ..

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲘᲜ ᲑᲝᲠᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲥᲐᲣᲠᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲤᲣᲚᲡ ᲐᲒᲠᲝᲔᲑᲔᲜᲝ ᲘᲛ ᲡᲐᲥᲐᲚᲔᲑᲝ ᲒᲘᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡᲐᲪ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲣᲠᲗᲧᲐᲛᲡ ᲢᲧᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲡᲣᲚᲐ ᲢᲘᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲤᲗᲔᲥᲔᲚᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲠᲐᲠᲓᲜᲔᲚᲘᲡᲐ. ᲐᲕᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠ ᲗᲐᲒᲕᲘᲡ-ᲨᲐᲥᲐᲠᲘᲗ ᲛᲝᲙᲘᲬᲐᲕᲚᲐ ᲐᲛ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲪᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲠᲔᲕᲝᲚᲕᲔᲠᲘᲗ ᲘᲠᲗᲧᲝᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲘᲒᲝᲜᲔᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲣᲗᲝᲕᲔᲑᲘᲐ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲡ ᲰᲙᲣᲗᲡ ᲐᲠ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ..

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲘᲜ ᲑᲝᲠᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲘᲥᲐᲣᲠᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲤᲣᲚᲡ ᲐᲒᲠᲝᲔᲑᲔᲜᲝ ᲘᲛ ᲡᲐᲥᲐᲚᲔᲑᲝ ᲒᲘᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡᲐᲪ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲣᲠᲗᲧᲐᲛᲡ ᲢᲧᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲡᲣᲚᲐ ᲢᲘᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲤᲗᲔᲥᲔᲚᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲠᲐᲠᲓᲜᲔᲚᲘᲡᲐ.

ᲭᲘ ᲐᲥᲕᲡᲝ. ᲥᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡᲔᲪ ᲫᲝᲛᲔᲛᲐᲢᲔᲑᲘᲜᲐ: ᲘᲒᲘᲕᲔ ᲝᲛᲘ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ— ᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ „ᲯᲘᲑᲔ-ᲒᲐᲢᲔᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ“ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ!

ᲝᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ—ᲝᲛᲘ, ᲛᲭᲐᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲠᲠᲝᲜᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲐ; ᲝᲛᲘᲗ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲓᲦᲔᲝᲑᲡ ᲙᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲙᲘ ᲘᲩᲐᲒᲠᲔᲑᲐ...

ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣ ᲡᲐᲛᲣᲓᲛᲝᲓ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲝᲛᲘ ᲒᲐᲒᲕᲨᲝᲠᲓᲐ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲢᲝᲕᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ; ᲑᲔᲕᲠᲘ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘ ᲓᲐᲘᲬᲔᲠᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜ ᲨᲣᲑᲚᲖᲔ.

ᲒᲐᲕᲚᲘᲚᲛᲐ ᲝᲛᲛᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ: ᲑᲔᲕᲠᲛᲐ ᲙᲘᲡᲔᲠ ᲛᲝᲒᲠᲔᲑᲘᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲙᲘᲡᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲡᲬᲝᲠᲐ—ᲛᲖᲘᲗᲘᲡ ᲡᲙᲘᲕᲘᲠᲘ ᲒᲐᲘᲢᲔᲜᲐ; ᲑᲔᲕᲠᲛᲐ ᲕᲐᲫᲛᲐ ᲐᲠᲨᲘᲜᲘ ᲙᲐᲚᲛᲐᲗ ᲨᲔᲡᲪᲕᲐᲚᲐ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲕᲐᲫᲘᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲧᲐᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲡᲚᲔᲓᲘᲓᲐᲗ, ᲒᲐᲩᲘᲜᲘᲐᲜᲓᲐ. ᲘᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲛᲐ ᲝᲛᲛᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲥᲕᲠᲘᲕᲐ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲣᲜᲣᲒᲔᲛᲝ ᲝᲑᲚᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲢᲝᲕᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲐᲜᲐᲑᲐᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲓᲔᲓ-ᲛᲐᲛᲐ ᲐᲐᲢᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲑᲠᲛᲐᲕᲐ...

ᲝᲛᲘ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲓᲐ. ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲛᲮᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐ. ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲗ ᲬᲐᲛᲡᲚᲔᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲕᲜᲘᲡ ᲓᲔᲜᲐᲛ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲛᲘᲘᲨᲘᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ. ᲕᲘᲜᲪ ᲑᲔᲓᲘᲗ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲛᲘᲰᲧᲕᲜᲔᲜ ᲧᲣᲠᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲛᲐᲡ, ᲔᲠᲗᲘ „ᲘᲩᲘ“ ᲛᲔᲝᲠᲔ „ᲘᲩᲘ“ ᲛᲘᲰᲧᲕᲐ, ᲔᲠᲗᲘ „ᲡᲘᲩᲘ“, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ—„ᲜᲘᲩᲘ“. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲜᲘ ᲘᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲯᲘᲑᲘᲡ ᲪᲘᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲗᲔᲚᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲗᲔᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲗᲕᲘᲡᲗᲐ ᲨᲘᲠᲐ.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲒᲘᲜᲘ „ᲡᲐᲛᲣᲓᲛᲝᲓ“ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲪᲓᲣᲠᲘ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲘᲨᲘᲓᲐᲕᲓᲐ. ᲕᲘᲜᲪ ᲑᲔᲓᲘᲗ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲘᲧᲝ, ᲥᲕᲘᲨᲐᲓ ᲒᲐᲓᲘᲥᲪᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲣᲧᲐᲪᲝ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲨᲘ. “

*** ჩვენ მიეიღეთ ქუთაისიდამ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

„ბოდიშ-ოთხოვეთ მისცეთ მცირედი ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ბარათის:

„ქუთაისში არის მხოლოდ სამი ეკკლესია მმართლმადიდებლისა, რომელშიაც რამდენიმე საუკუნეა იმარხებიან გარდაცვალებულები.

„ახლა ამ ძველ სასაფლაოებზე მიცვალებულების დამარხვა აღკრძალულია და არც გვაქვს ნაჩვენები და დანიშნული სხვა სასაფლაო ადგილი!

„ვკითხავთ ჩვენი ქალაქის გამგეობას და სხვას, ვიზედაც ეს საქმე დამოკიდებულია: სად წავიღოთ ჩვენი მიცვალებულები? წყალში გადავყაროთ, თუ ხეებზე გავდვათ?“

მ.

*** ზაქათალიდამ გვწერენ, რომ აქაურ მაჰმადიანებს ძალიან გაეხარდათ, როცა შეიტყვეს, რომ თათრულს ენაზე გაზეთი უნდა გამოვიდეს თ[illegible]ფლისშიო. კორრესპონდენტი ამბობს, რომ საიდეფენდის მომავალ გაზეთს მარტო აქეთკენ უკანასკნელი ასი ხელის-მომწერი მაინც ეყოლებაო.

*** ჩვენ გვაცნობებენ, რომ სოფ. პატაოძეულის შკოლაში ამ ჟამად სამოცდაგირდამდინ არისო; შკოლისათვის სადგომი ვიწროაო და სოფელმა სხვა სახლის დაჭერაზე უნდა იზრუნოსო. უურადღების ღირსია აგრეთვე ისიც, რომ ამოდენა შკოლის მასწავლებელს თვეში მხოლოთ ხუთმეტი მანეთი აქვს ჯამაგირი.

„დროების“ კორრესპონდენცია

მაჰახელა

თამარ დედოფლის ისტორიის გადათარგმნას დავპირდი თათრულის ენიდამ პატივცემულ „დროების“ მკითხველებს, რომელიც მოიპოვება აქ, მაჰახელში; მაგრამ უკაცრავათ დავრჩი.

თუმცა აქვს სოფელს ზედა-ჩხუტუნეთის მცხოვრებელს ხოჯას ასსან-ეფენდის, მაგრამ ჩვენ სრულიად რწმუნება დავკარგეთ მათ თვალში: ესენი დარწმუნებული არიან, რომ არათუ წიგნებს, ქვასაც არ დავაყენებთ თავის ადგილას, და ამიტომ ამათგან ვერ გამოვიტანე ეს წიგნი.

ოთხასი წელიწადია, როგორც ესენი ამბობენ, რაც მაჰმადიანები შავიქენითო. და მუსულმანები, ისეთი ფანატიკოსები, როგორც ესენი არიან, არ შეხებიან ძველ ეკკლესიებს და ყოველგან ყოფილა თითქმის ნაწერი ქვებზე და ნახატი.

დღეს კი შემოსვლისათანავე ჩვენისა ოსმალოს საქართველოში, ყოველგან გამოუძერიათ და წაულიათ ქრისტიანებს თუ სხვა რჯულს ჩვენებს. რომელსაც თვითონ ვერ მიწდომიან, თათრებისთვის ფული მიუციათ და მოუტანინებიათ.

ამ ნაირათ ეს საბუთები ისტორიისათვის და საქართველოს ერთ დროის ძრიელების მაჩვენებელნი, ამშენებელთ სახელი და მოთხრობა, შენახული ქრისტიანების მტრებისაგან, ქრისტიანს კი ამოუხოცია!!

ჩემის თვალითა ვნახე ენკენისთვეში სამი-ოთხი ქვა, რომლებზედაც ხატები და მეფეები მშვენიერის ხელოვნებით გამოკვეთილი და ხუცურათ ხელჩართულად ნაწერი ქვებზე. დიდათ ვწუხვარ, რომ, თუმცა ხუცური კითხვა ზედმიწევნით ვიცი, მაგრამ ხელ-ჩართული ასოებით ნაწერი ვერ წავიკითხე. ერთ ქვაზე იყო გამოკვეთილი დავით აღმაშენებელი, რომელსაც მარჯვენა ხელით ეჭირა ეკკლესია მსგავსი ბელანათის ეკკლესიისა და სახელი მისი წავიკითხე, ისიც იმით, რომ ჩემი სახელის ხელჩართული ასოებით წერა ვიცი.

ეს ქვები ეყარა ბათუმს იქა-იქ ქურდ-ოღლის სასტუმროს ქვეშ, მიწაზე, და ერთი „ათგანი კიდეეაც დავმტვერიათ, ზედ საესე ბოჩკვი გადაეკორებიათ! ვიკითხე—ვის ეკუთვნის ეს ქვები-მეთქი? და მითხრეს, ვიღაც ფოტოგრაფს ერმაკოვსო.

ამ ნაირათ გაქრა აქ ბევრი ძვირფასი ისტორიული ძეგლი და მასალები და ბევრიც მალე გაქრება, თუ კაცი არ ამოჩნდა, რომ ყველა ეს დაიცვას...

მაჰახელში ამბობენ, რომ თამარ დედოფალი ყოველ გაჭირვების დროს აქ, მაჰახელში, მოაშურებდაო და მტერი აქ ვერ შამოუვიდოდაო, იმის რეზიდენცია, ანუ როგორც ამბობენ, სამყოფი იყო ქვედა-ჩხუტუნეთი, სადაც ახლაც არის ნასაყდარი.

თამარ დედოფალს, აქაურების ზეპირ გარდმოცემით, ჰყავდა მხოლოთ ერთი შვილი. ერთხელ არაბებმა ომი აუტეხეს და ვერასოდეს ვერ შამოვიდნენო; თამარ დედოფალმა მაინც სიფთხილის გულისათვის სოფელს ეფრატში წავიდა და აქ მთა არის ერთი, ქარჩხალი ეწოდება, იქ საყდარი ქონდა ციხე-გალავანით და სასახლე,—და დადგა იქ.

ერთ დღეს ერთი შავი ზანგი (არაბი) მოვიდა დედოფალთან და დაუწყო სამსახური. დედოფალმა მეჯინიბეთ დააყენა და ჩააბარა თავისი საჯდომი ცხენებიო.

არაბმა დაუწყო მოვლა ისეთ ნაირათ ცხენებს, რომ უკეთესი მეჯინიბობა არ შეიძლებოდაო. შეუყვარდა ეს არაბი ძრიელ თამარ დედოფლის შვილსაც, რადგან ხშირათ ათამაშებდა ყმაწვილსო.

ეფრატის ეკლესიას გვირაბი (ტონელი) ქონდა ჩასაძრომი მთის ძირამდი, რომლის კვალი დღესაც ეტყობა. არაბმა ეს ყმაწვილი იმ გვირაბში ჩაიყვანა და ორივე გაჭრენო...იმ დღიდან არავინ იცის—სად გადაღუპენო.

ახლა აქაურ ხალხში გავარდა ხმა, რომ ვითომ თამარ დედოფლის ნაშიერი გამოჩენილიყო....

ეფრატის ეკკლესიის ნატამალი არ მინახავს და ხიდზე კი გაველ მაჰახელისწყალზე, სოფელს ცხემლალას არის ერთი ხიდი მშვილდის მგზავსათ აშენებული თამარ დედოფლისგან და კიდევ თამამად შეუძლია რამდენიმე საუკუნე გასძლოს, თუმცა ჩვენი ახალი ნასწავლი ინჟინერებისგან არ არის აშენებული... მადლობა ღმერთს, რომ იმ დროს ასეთ ყოფილან ინჟინერები, თორემ ამ მაჰახელის-წყალმა, როგორც მთის წყალმა, მოდიდება რომ იცის, მგონი თამარ დედოფლის სიცოცხლეშიც ისე მოწმენდდა წყალი, რომ ამ ხიდის ნატამალიც არ დარჩებოდა.

საკვირველია ამ ხალხის ვითარება: თავის დღეში ოსმალოს სალდათს ფეხი არ შემოუდგავს აქ, მაჰახელაში, გარდა თავისიე სალდათებისა.

მაგრამ იმისთანა კაცს ვერ იპოვი, ოსმალურათ არ ლაპარაკობდეს. ყოველ სოფელში თავისი ჯამე (მეჩითი) აქვთ; ყოველ ჯამეს სხვა-და-სხვა დროს ღვთის მოყვარე კაცთაგან შეწირული ფული აქვს; ამ ფულებს ასესხებენ, ასარგებლებენ და ამ სარგებლით ყოველ ჯამესთან აშენებულია სასწავლებელი, სადაც მოძღვართ არის იმ ჯამის ხოჯა და სწავლის ნაცვლათ ის იღებს ჯამაგირს იმ ფულების სარგებლიდან.

ყოველ სასწავლებელში ორ-ორი ოთახი არის; ერთს ოთახში ვაჟები სხედან და მეორე ოთახში ქალები. ხოჯა ზის იმ ოთახში, სადაც ყმაწვილები-ვაჟები სხედან, დიდ მაღალ კაოედრაზე და იმას თავის სწორი გაძოჭრილი აქვს კედელი; იმ ნაირათ ზის აქ, რომ ნახევარ მის სახეს ხედავენ მოსწავლე-ქალები და როდესაც ლექციას კითხულობს არაბულ ენაზედ და ხსნის ოსმალურად მაშინ ერთ ბაშათ ისმისთ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლის ამას გარდა წერა კითხვას ოსმალურათ.

აქაური ხოჯები და მოლლები უმეტესი ნაწილი ოსმალოში გაზდილნი არიან და დიდი ფანატიკოსები.

ახლა ესენი არწმუნებენ ხალხს, რომ იმ ჯამეში, სადაც ხვანთქრის ბარათი არ აკრავს, არ ილოცებაო, არაფერი მადლი არ აქვსო. ლოცვას შეასრულებს კაცი; მაგრამ ჯუმას (პარასკევს) და ბაირამს სად ილოცავთო? ბიაურების ხელში რომ იქნებით, ხვანთქარი არ მოგცემთ ბარათსო და სხვ.

და ამაზე სწუხს ხალხი. დიდი მოძრაობა არის საზოგადოთ მაჰმადიან ქართველებში ოსმალოს მოლლებისაგან და აგენტებისაგან. ზემო აჭარაში, მოგეხსენებათ, რა მოხდა; მაგრამ ეხლა დაწყნარდნენ ამისათვის, რომ თოვლმა მოუსწროს და ენახოთ გაზაფხული რა ამბავს მოიტანს...

თ. დ. წ.

რუსეთი

სამხრეთ რუსეთის გუბერნიების მემამულეთა კრება ოდესაში

(„დროების“ კორრესპონდენცია)

ქრისტეშობის თვის 5 შეიკრიბენ ოდესაში რუსეთის სამხრეთ გუბერნიების მემამულეები, სასოფლო მეურნეობისა და ხელოსნობისა გასაუმჯობესებლად. ეს კრება მეურნეობის მოყვარე საზოგადოებათა არის მეხუთე კრება მას შემ-

დეგ, რა რომ ეს საზოგადოება დაარსებულა აქ.

კრებაში მიიღეს მონაწილეობა გარეშე მხრის მცხოვრებლებმაც, რომლებთაც აღძრეს რამოდენიმე სასარგებლო კითხვები და წარმოსთქვეს კიდევაც თითოეულმა თავიანთი ჰაზრი ამ კითხვების შესახებ.

აქაური უნივერსიტეტის მთავრობამ გამოუცხადა ამ კრებას თავისი თანაგრძნობა: მიუჩინა კრებას რამოდენიმე ზალა სადაც ისინი ენერგიულად შეუდგენ თავიანთი საქმეების განხილვას.

უამბობ „დროების" მკითხველ საზოგადოებას იმ შთაბეჭდილებაზედ, რომელიც გამოვიტანეთ მაყურებლებმა თ. ჯორჯაძის დოკლადის წაკითხვის შემდეგ. თ. ჯორჯაძემ მოკლედ და გარკვევით წარმოსთქვა სიტყვა საზოგადოთ ღვინის კეთების შესახებ და განსაკუთრებით ჩვენში.

ამ საღამოს სხვა განყოფილებებშიაც იყო სხდომა და ამისთვის მხოლოდ რამოდენიმემ მოისმინა თ. ჯორჯაძის წინადადება.

პირველად თ. ჯორჯაძემ მიაქცია კრების ყურადღება კავკასიის წარსულს ისტორიულს მდგომარეობაზედ... შემდეგ ჩამოთვალა ნაკლულევანება ჩვენებური ღვინოისა და უჩვენა კრებას მიზეზები, რომლებისგანაც წარმოსდგება ჩვენებური ღვინოების სიცუდე. ჩამოთვალა ქვეყნები, სადაც კეთდებოდა კარგი ღვინოები, ან უკეთ ვსთქვათ, პირველად რომელ ქვეყნების ღვინოებს აქცევდნენ ყურადღებას და ეხლა რომელს ქვეყნისას. დაასახელა მიზეზი, რითაც ხელმძღვანელობს საზოგადოება, როდესაც ერთ დროს ერთი მხრის ღვინო მოსწონს, შემდეგ კი მეორე მხრისა· განმარტა ის ჭეშმარიტება, რომ რამდენათ მომეტებული მუშტარი, გამსაღებელი ჰყავს რომელიმე ნაწარმოებს, იმდენათ მომეტებულია ნაწარმოების რიცხვიც და იმდენათ უფრო ინტერესი ეძლევათ მოწარმოებლებს, რომ თავიანთი საქმე რიგიანად წაიყვანონ. სთქვა თუ რა საჭიროა ჩვენში მცოდნე და ამასთან ნივთიერი საშუალებების მქონე პირები.

მოიხსენია ბაჟის (აქციზის) ცუდი გავლენაზე და დაჯერა საზოგადოება, რომ არც მმართებლობას აქვს მოგება აქციზის მიმატებით.

მოიხსენია-თუ რა საშუალებით შეგვიძლია ყოველ წლობით ერთ გვარად ერთნაირი თვისების ღვინო გავაკეთოთ.

მიაქცია კრების ყურადღება იმაზედ, რომ ჩვენ დაშორებით არ ვიცით ჩვენი ქვეყანა და სურვილსაც არავინ აჩენს, ჯერ დროებით, რო გაიცნონ ეს რუსეთთან შემოერთებული მხარე. თქვენ უნდა გაიცნოთო, სთქვა თ. ჯორჯაძემ, ჩვენი მხარეო; უნდა შეიტყოთ, რომ ის მდიდარია ბუნებით თუ არა. ბევრი რამ არის ჩვენში, რომელიც ღირსია ბეჯითად განხილვისა. ამისთვის კავკასია მოუთმენლად ეძებს მცოდნე და მოქმედ პირებს, რომლებიდანაც ის მოელის თავის მომავალი მდგომარეობის გაუმჯობესობასო.

ამასთან საჭიროა, როგორც მოგეხსენებათ, ნივთიერი საშუალობაცო და ამ ორ თვისების მქონე პირებს, ე. ი: ცოდნის და ნივთიერი საშუალების მქონეებს ის (კავკასია) უხვათ დააჯილდოებს შრომისათვისო.—

და ბოლოს გაათავა იმით, რომ სთხოვა რუსეთის, სასოფლო მეურნეობის და ხელოსნობის წარმატების მსურველ წევრებს, რომ იმათ სთხოვონ მთავრობას:

1) სახელოსნო სასწავლებლის დაარსება კავკასიაში;

2) აქციზის (ბაჟის) შემსუბუქება და ერთხელვე გარკვევით დაწესება შეუცვლელად რამდენსამე წლიწადს;

3) ქირის შემსუბუქება გზებზედ გადატან-გადმოტანის დროს. ამით გაათავა პატივ-ცემულმა ორატორმა თავის დოკლადი. შემდეგ შეიქნა განხილვა თითოეულის კითხვების და იმათი მთავრობასთან დამტკიცებლათ წარდგენაზედ ხანგრძლივი ბაასი.

ამ კითხვაზედ დაწვრილებით პასუხს ამ დღეებში გამოგიგზავნით.

გაათავა თუ არა თ. ჯორჯაძემ კითხვა, შეიქნა ხანგრძლივი ტაშის კვრა, რითაც გამოუცხადა თ. ჯორჯაძეს სასოფლო მეურნეობის და ხელოსნობის მოყვარეთა საზოგადოებამ თავიანთი მადლობა და თანაგრძნობა.

ოდესსა 15 დეკემბერს ერმილე ნ.ნავა

განცხადებანი

ხუთშაბათს 4 იანვარს

ნემეცების კლუბის ზალაში, ზალავინას პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლებში წარმოსდგება ქართული სცენის სასარგებლოდ:

1) **თილი მის ხანი**

კამედია სამ მოქმედებად თ. გ. ერისთვისა და

2) **სხვა რიგი სიყვარული**

ვოდევილი ერთ მოქმედებად თ. ი. ზარათაშვილისა

ინტრაქტებში იმღერებს აბდულ-ბალი.

ბილეთები ისყიდება კასსირთან ჟ. როტინოვის ფოტოღრაფიაში. სასახლის ქუჩაზედ, და წარმოდგენის დღეს თვით კლუბის ზალაში, საღამოს ხუთი საათიდგან. (2—2)

ისყიდება სახლი ორი ოთახით და ეზოთი, რომელიც შეიცავს 71 ოთხკუთხ საჟენს, სოლოლაკში, პირველი ოტდელის მეორე უჩასტკაში № 98.

მსურველს შეუძლიან მიმართოს პატრონს მღ. ჩიქოვანს. ალექსანდრე-ნევსკის ეკკლესიის ზევით ქუჩაზე, კერესელიძის სახლების გვერდით, ელიოზოვის სახლში, № 21. (2—2)

ქუთაისში

კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) **სიტყვანი და მოძღვრებანი** — თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) **იგივე**, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) **რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის** (Практическій начальный курсъ рус. языка для грузинъ) — შედგენილი გ. კ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) **დედა ენა**—ი. გოგებაშვილისაგან. 50 კ.

5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი.** ფასი — — — — — 50 კაპ.

6) **ბუნების კარი**—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) **პატარა ბიბლიოთეკა**—იმისივე — — — — — — 10 —

8) **ლოცვანი**, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) **ნინო**, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — — 15 —

10) **თამარ ბატონიშვილი**—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) **არანკა**, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) **სამზარეულო**, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) **ყარამანიანი**—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) **რძალისმული და მაშენიკები** — კომ. თუთაიევისა— — — 30 —

15) **ქართული კალენდრები** 15—

16) **სახარება** — — — 25—

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვეშ.

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, ბრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

Дозволено цензурою. Тифлисъ 3 Генваря 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.